სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა
და გადაუდებელი დახმარების ცენტრი

LEPL Emergency Situations Coordination and Urgent Assistance Center

KA030184899685320

საქართველო, თბილისი 0119; წერეთლის გამზ. N 121; ტელ.: (+995) 591 123 123

N 121, Tsereteli ave, Tbilisi 0119, Georgia; Tel.: (+995) 591 123 123

№ 12/599 **02 / მარტი / 2020 წ.**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გიორგი შენგელიას

ბატონო გიორგი,

სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრმა განიხილა თქვენი 2020 წლის 4 თებერვლის № 02/1228 წერილი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

„ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვალის № 120 დადგენილების, „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საჯარო შენობის ბალანსზე აყვანა და შემდგომი მოვლა-პატრონობა უნდა განახორციელოს შესაბამისმა მუნიციპალიტეტმა. ასევე, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსახლეობისათვის ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით, საჯარო შენობების ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, თქვენი წერილით წარმოდგენილი საკითხები, როგორიც არის მოვლა-პატრონობა, უზუფრუქტის (უსასყიდლო სარგებლობის უფლებით) ხელშეკრულებით გადაცემა, ელ. ენერგიის და გაზის კომპანიებში აღნიშნული ობიექტების მიერ გახარჯული დენის და ბუნებრივი აირის ღირებულების გადახდა უნდა განახორციელოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა.

პატივისცემით,

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ავთანდილ თალაკვაძე